პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 80 (13201) | სამშაბათი, 6 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- პარჭინის დიდმნიშვნელოვანი იდეური იარაღი
- მეგობროების ვიზიტად პოლონეთში
- საერთაშორისო ცხოვრება

დამკვრელურად კომუნისტურად!

გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის ინიციატივა

ეს თაოსნობა ისე დაიბადა. თბილისის ე. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულ კომიტეტში მრავალ რესპუბლიკაში ცნობილი ნოვატორი, ელმავალსაამწყობო საამქროს ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის თავკაცი გ. ჩადუნელი. მან კომიტეტის მდივანს გადასცა წერილი, სადაც ბრიგადის წევრების სახელით ნათქვამია:

„ახლოვდება მაოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღესასწაული — პირველი მაისი, ყველანაირი ექსპლუატაციისა და ბატონობისგან, ომებისგან, ეროვნული ჩაგვრისგან, ეროვნული ბოროტებისგან, ეროვნული ბოროტებისგან, ეროვნული ბოროტებ

ვაჭრული ცხოვრება

ბონდოების ნაყოფი

ვეფხვაურების წერილს „ჩვენი პარტიული ჯგუფის ქალს"

მამაჩემი ივანე გაფრინდაშვილი ძველი მაღაროელია. ახლა პენსიაზე იმყოფება და სოფელ მღვიმეში ცხოვრობს. ჩვენებური ადამიანი მაღაროს ვერ ასცდება, რადგან მარგანეცის. დამუშავება ძველთაგანვე პირველად მღვიმეის ზეგანზე დაიწყო და მისი წიაღი ახლაც მდიდარია მაღალხარისხოვანი მადნით.

მოხდა ისე, რომ მამის ტრადიცია შვილებმა გაგაგრძელეთ. შვიდი კლასი რომ დავამთავრე და წამოვიზარდე, კალინინის სახელობის მაღაროში დავიწყე მუშაობა. აქვე ელმავალს მართავს ჩემი ძმა — ლექსანდრეც. აგერ ორმოცი წლისა ვარ, და ჩემი ცხოვრების ნახევარი მაღაროში გავატარე. აქ მიმიღეს კომკავშირში, ხოლო შემდეგ პარტიის რიგებში. ისე შევესისხლხორცე მაღაროს კოლექტივს, რომ უომისოდ ცხოვრება ვერც წარმომიდგენია.

ათ წელზე მეტია მარგანეცის მნგრეველ-ამწმენდი ვარ, მაგრამ მბურღავობაც ვიცი, მებიგებობაც და მონტიორობაც. კეთილსინდისიერი შრომისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მომანიჭეს. ერთხანს ცვლის პროფჯგუფორგანიზატორი ვიყავი და ორგანიზაციული მუშაობის ჩვევები შევიძინე.

შარშან ოქტომბერში ჩვენი ცვლის კომუნისტებმა დიდი და საპატიო მოვალეობა დამაკისრეს — პარტიული ჯგუფის ორგანიზატორად ამირჩიენ. გულწრფელად რომ ვთქვა, პირველად შეფიქრიანდი, ვთქვი, ვაი თუ სამუშაო ვერ დავძლიო და თავი შევირცხვინო-მეთქი, მაგრამ საქმეს რომ ვაკვირდები, გადაულახავი სიძნელე არ არსებობს, რა თქმა უნდა, თუ მონდომება და მხარდაჭერა გაგაჩნია. ისე ნუ გგონიან მკითხველი, თითქოს ყველაფერს დავეუფლე და სრულყოფილად ვმუშაობ, მაგრამ დასაწყისს ცუდი პირი არ უნდა უჩანდეს.

გულდასმით გავეცანი პრესაში დაბეჭდილ პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა წერილებს. იქიდან ბევრი სასარგებლო რამ შევიძინე და პრაქტიკულ მუშაობაში ვიყენებ. ამხანაგებს ვეთანხმები იმაშიც, რომ მეტი ლიტერატურა უნდა გამოიცეს პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა დასახმარებლად. ეს ხელს შეუწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, წინ წასწევს საქმეს.

ჩვენი პარტიული ჯგუფი პირველი საწარმოო უბნის ექსპლოატაციის ცვლაშია. მოქმედების ასპარეზი მიწის წიაღში — მარგანეცის სანგრეველში იშლება. აქ ვშრომობთ, აქ ვმოღვაწეობთ, აქ ვწყვეტთ საკირბოროტო საკითხებს, აქედან ვუგზავნით სამშობლოს მაღალხარისხოვან მარგანეცს.

პარტჯგუფორგანიზატორებად რომ აგვირჩიეს, მაღაროს პარტბიუროს მდივანმა გ. თაბაგარმა შეგვკრიბა, ჩვენს უფლება-მოვალეობასა და ამოცანებზე გვესაუბრა, ზოგადი დებულებები მაგალითებითა და ცხოვრებისეული ფაქტებით განგვიმარტა. თათბირის დასასრულს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელის სტამბაში დაბეჭდილი „სამახსოვრო" დაგვირიგა. იქ ჩამოყალიბებულია ჩვენი ამოცანები პარტიულ-პოლიტიკური თუ აღმშრდელობით-ორგანიზატორული მუშაობის დარგში.

ადრეც მსმენოდა და „სამახსოვროშიც" გვწერია, რომ მთავარია ადამიანებთან მუშაობა, მათი აღზრდა-გამოწრთობა, მათში კომუნისტური შრომის ჩვევების დანერგვა. ჩვენც ამით დავიწყეთ. პირველი შეკრება, რომელიც შარშან 13 ოქტომბერს მოვაწყეთ, სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა. გულღიად ვისაუბრეთ, მაგრამ პირდაპირ და მკაცრად, მეგობრულად ვეუთხარით ერთმანეთს ჩვენი ავკარგი, ნაკლოვანებანი. პირველსავე სხდომამ ბევრი დააფიქრა, თავის გულში ჩაახედა.

მარგანეცის მნგრეველ-ამწმენდმა, კომუნისტმა ა. გულიაშვილმა მარგანეციდან ფუჭი ქანი არ გადაარჩია და სანგრევიდან ისე გამოგზავნა. ეს შემთხვევა შეუმჩნეველი როდი დაგვრჩა და იმავე დღეს პარტიული ჯგუფის სხდომაზე შევიკრიბეთ. აქ მთელი სერიოზულობით განვიხილეთ პროდუქციის ხარისხის საკითხი. კომუნისტმა ა. გულიაშვილს განვმარტა, რომ მის დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას მოსდევს მადნის ხარისხის დაცემა, საფაბრიკო მარკის შერცხვენა. წარმოების ზარალი. მისი საქციელი დაგმეს, გაკიცხეს. მისგან მტკიცედ მოვითხოვეთ უწუნოდ, პატიოსნად შრომა. ამ ღონისძიებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ა. გულიაშვილს წუნდებული მარგანეცი აღარ გამოუშვია.

მადნის ხარისხს ჩვენ არასოდეს არ ვიკმაყოფილებთ, მაგრამ იგი მთელი სერიოზულობით დაისვა ახალი სამეურნეო წლის დასაწყისში, როცა მოსკოველთა და ლენინგრადელთა კეთილშობილური თაოსნობით დაიწყო ლაშქრობა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

ცნობილია, რომ მარგანეცი მსოფლიო ბაზარზე გადის, და ჭიათურელებს პირველ რიგში მოგვეთხოვება ჩვენი პროდუქცია მსოფლიო სტანდარტების დონეზე იყოს, მას ბადალი არ მოეპოვებოდეს. ამიტომ იყო, რომ იანვარში პარტიულმა ჯგუფმა ცვლის კოლექტივთან ერთად განიხილა მოსკოველთა და ლენინგრადელთა პატრიოტული წამოწყება. ჩავებით ბეჭრებაში, დავსახეთ ღონისძიებანი და ცუდად როდი დავიწყეთ. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი ცვლა ყოველდღიურად 20-25 ტონა ზეგეგმით მაღალხარისხოვან მარგანეცს იძლევა. კომუნისტების გ. ბუზალაძის, ბ. ჭიტაძის და ა. გულიაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წამყვან პროფესიაზე — მარგანეცის მნგრეველ-ამწმენდად მუშაობენ, ბიღლავლების ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ და მაღალხარისხოვან მარგანეცს იძლევიან.

ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ მარტო კომუნისტები იყონ შრომის ავანგარდში. უპარტიო ამხანაგებსაც ვრაზმავთ, ისინიც მხარდამხარ მოგვყვებიან. შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან მაღაროელები ვ. ყანჩაველი, ა. ბუზალაძე, რ. გურული, ა. ხვედელიძე.

პარტიული ჯგუფი ზრუნავს მაღაროელთა ყოფა-ცხოვრებაზეც. ახლახან შევისწავლეთ ჯალაბრის მემანქანის ა. ხვედელიძის ოჯახური პირობები. იგი მრავალშვილიანია და შედარებით ხელმოკლედ ცხოვრობს. საკითხი პარტიულ-პროფკავშირულ ორგანოებში დავაყენეთ და ისე, რომ მან წინასწარ არც კი იცოდა, მატერიალური დახმარება გაუწიეს. ეს კარგია, მაგრამ უფრო მოსაწონი ის არის, რომ მაღაროელმა ა. ხვედელიძემ მხარდაჭერა იგრძნო, იგი დარწმუნდა, რომ მასზე ამხანაგები, ადამიანები ფიქრობენ, ზრუნავენ. ამ ფაქტმა შრომაში სტიმული მისცა მაღაროელებს. ადამიანების აღზრდა და მათზე ზრუნვა პარტიული ჯგუფის ძირითადი ამოცანაა.

ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ შრომის ნაყოფიერების ზრდის, ახალი ტექნიკის გამოყენების, წარმოების კულტურის, კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების მტკივნეულ საკითხებზე, ვსახავთ ღონისძიებებს.

ამას წინათ სანგრევებში ჰაერი ვერ აღწევდა. ეს აფერხებდა ნორმალურ მუშაობას. ამას ჯალამბრის გაფუჭება დერთო. მისი შეკეთება იგვიანებდა და მოცდენა გარდუვალი იყო.

ჩვენ გულზე ხელი როდი დავიკრიფეთ. სასწრაფოდ პარტიული ჯგუფის სხდომა მოვიწვიეთ, ვიმსჯელეთ და საქმეში მაღაროს ხელმძღვანელები ჩავრიეთ. ჯალამბარი და ჰაერის მილგაყვანილობა დაჩქარებით შეკეთდა, მუშაობა ნორმალურად წარიმართა, თუმცა მილებში ჯერ კიდევ დიდძალი ჰაერი იარგება და სანგრევებამდე ვერ აღწევს. იმედია, მაღაროს ტექნიკური ხელმძღვანელობა ამას მოაგვარებს.

მართალია, ჩვენი ცვლა დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ უკეთ, ვიმუშავებთ, მომნგრევი ჩაქუჩებისა და ვაგონების შეკეთების დაბალი ხარისხი ხელს რომ არ გვიშლიდეს. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ წარმოების კულტურის ამაღლებისა და სამთო უსაშიშრობის ტექნიკის წესების დაცვისათვის.

აი მოყლედ ზოგი რამ ჩვენი მუშაობიდან. ჩვენთვის უცხოა თვითმკაყოფილება და მიღწეულით დამშვიდება. რაკი ეს შეგნებული გვაქვს, სამუშაოც არ დაგვაგვიანებია.

ე. გაფრინდაშვილი,
ჭიათურის კალინინის სახელობის მაღაროს პარტიული ჯგუფის ორგანიზატორი.

მცხეთის რაიონის პარტიული აქტივის კრება

მცხეთის კულტურის სახლში გაიმართა რაიონული პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები". მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. კვეთაძემ.

სიტყვებით გამოვიდნენ სოფელ ძალისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ლაპერტელიანი, ნატახტარის მერეფა-მეგობსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ოსიყმიშვილი, საგურამოს კოლმეურნეობის აგრონომი გ. ძნელაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ოფხაზავა, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი ა. ჩხუტიაშვილი და სხვები.

კრებამ ერთხმად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღო რეზოლუცია.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ.

გ. ხუტაშვილი,

შეფეხი ამოქმედდნენ

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის მსხვილმა საწარმოს კოლექტივებმა სურვილი გამოთქვეს შეფობა გაუწიონ კოლმეურნეობებს. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველომ სოფელ კოკის კოლმეურნეობას დაუმზადა ტრაქტორებზე მისაბმელი ფარცხები. შაორაქესის მექანიზატორებმა პრაქტიკული დახმარება გაუწიეს სოჩხეთის კოლმეურნეობას სამანქანო ჯხების გაფართოებაში.

ტყიბულის ქალაქის ყველა საწარმოს ძმური დახმარების ღონისძიებანი შეიმუშავეს ტყიბულქვანახშირტრესტმა, ტყიბულსახმენის სამმართველომ, „სახმონტაჟის" უბანმა და სხვა ორგანიზაციებმა.

800-მდე აგიტატორი და პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის 62 ლექტორ-მომხსენებელი მშრომელებს განუმარტავს მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

რუსთავი — სოფელს

რუსთავი. (საკ. კორ.). ინდუსტრიული რუსთავის მშრომელები დიდი ინტერესით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების პოლიტიკური განათლების კაბინეტებში მოეწყო სპეციალური გამოფენები თემაზე „ძალაქი — სოფელს". ათასობით აგიტატორი ახლა მთელ თავის შემოქმედებითს საქმიანობას მიუძღვნის მარტის პლენუმის მასალების გაცნობას. მშრომელები აცხადებენ სურვილს საშეფო დახმარება გაუწიონ მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებს.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ, „რამდენიმე წელია საშეფო დახმარებას უწევს საგარეჯოს რაიონის ჩალეურის, ნინოწმინდის, გორგიწმინდის, კაკაბეთის კოლმეურნეობებს, საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობას „საქართველოს". შარშან ამ მეურნეობებში ... მეტალურგებმა შეკეთეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რემონტი გაუკეთეს სახელოსნოებს, ... ონის ცენტრში გახსნეს აგროქიმიური ლაბორატორია და სხვ.

წელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმთან დაკავშირებით, ჩვენი საშეფო დახმარება კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს. უკვე შეუკვეთეთ საშეფო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი დახმარების ხელშეწყობი კომისია, მან ადგილებზე მიავლინა თავისი წარმომადგენლები. ისინი გაეცნენ საქმის ვითარებას, შეადგინეს სამუშაო გეგმა. ამ გეგმაში გათვალისწინებულია სპეციალისტების გაგზავნა სოფლებში და მათთვის პრაქტიკული დახმარება. ქარხნის კოლექტივი ითვალისწინებს ... ავტომობილი, ... ტრაქტორი, ... ბულდოზერი, ... ელექტროგენერატორი, ... ელექტროსადენი, ... ელექტროძრავა, ... ელექტროლამპა, ... ელექტროგალვანური ... ელექტროგალვანური ... ელექტროგალვანური

საერთაშორისო ცხოვრება

ხალხები გმობენ

პარაღ. უურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მსოფლიოს 100 ათასი უურნალისტის სახელით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მეკობრულ მოქმედებას ვიეტნამში, მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტასა და ამერიკის ჯარების გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან. უურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს ამ ორგანიზაციის ყველა წევრს, მსოფლიოს ყველა პატიოსან უურნალისტს გადაჭრით დაგმონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში და განსაკუთრებით მომწამლელი ნივთიერებათა გამოყენება, რაც გაუმართლებელია.

მონტევიდეო. ურუგვაის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფმა გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც მოუწოდებს ურუგვაის მთავრობასა და ხალხს წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც ცდილობენ ურუგვაი და სათანადო ამერიკის სხვა ქვეყნები ჩაითრიონ ვიეტნამის ომში. მიმართვა შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკის აგრესია ამ რაიონში. მიმართვას ხელი მოაწერა ურუგვაის კულტურისა და მეცნიერების 200-ზე მეტმა მოღვაწემ.

სტოკჰოლმი. შვეციის მშენებელთა პროფკავშირის სტოკჰოლმის განყოფილების დელეგაცია (განყოფილებაში გაერთიანებულია 40 ათასზე მეტი წევრი) მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების შვეციის საელჩოში და მტკიცე პროტესტი განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. (საკდესი).

ძველ პოზიციებზე

პარიზი, 3 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. ზვანცოვი იუწყება:

ინგლის-საფრანგეთის ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერით დამთავრდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ ვილსონის ორი დღის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში. კომუნიკეს ტექსტიდან, რომელიც ვილსონმა წაიკითხა პრეს-კონფერენციაზე, ჩანს, რომ მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ყველა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემაზე... და დარჩნენ თავიანთ ძველ, ესეიგი უმთავრესად საწინააღმდეგო პოზიციებზე. ამას ვერ მალავს კომუნიკეს ორეაზროვანი ფორმულებიც, სადაც აღიარებულია, რომ „სხვადასხვა შეხედულება აქვთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემებზე“. თუმცა კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა „ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგება“, მაგრამ არ არის ნაჩვენები ამ მიზნის მიღწევის კონკრეტული გზები.

დოკუმენტში აისახა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის საკითხი, რომელსაც შეეხნენ მოლაპარაკების დროს ვილსონი და დე გოლი. ხაზგასმულია, რომ „საჭიროა ეცადონ სულ უფრო გაუმჯობესონ ურთიერთობა საჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან“.

„ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხი, — ნათქვამია კომუნიკეში, — განხილულ იქნა გულწრფელობის სულისკვეთებით“. მოლაპარაკებმა, კერძოდ, ეხებოდა „დასავლეთის უშიშროების დაცვას ამ კავშირის ფარგლებში, რომელშიც ორივე ქვეყანა შედის“. როგორც ცნობილია, ინგლისი და საფრანგეთი სხვადასხვა თვალსაზრისისა არიან ატლანტიკის კავშირის შესახებ. ინგლისი მოითხოვს კავშირის განმტკიცებას ვაშინგტონის ეგიდით, საფრანგეთი — უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას და იმედს ამყარებს საკუთარ ატომურ დამკვრელ ძალაზე. ვილსონი „ატლანტიკური ატომური ძალების“ შექმნის პროექტის ავტორია. ეს ძალები ეარიანტია „მრავალმხრივი ატომური ძალების“ ამერიკული გეგმისა, რომელიც დე გოლმა უარყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიკაგოს გაზეთ „სან-ტაიმსის“ მხატვარს დაუხატავს სელმელი პოლიციელი, რომელიც თავისუფლების ქანდაკებას სცემს. ნახატს ასეთი წარწერა აქვს:

— ეს შეიძლება მოხდეს...

რეგისტრაციის უფლება... საკურორტოებში

ნიუ-იორკი. (საკდესი). ალაბამის შტატის ქალაქ კამდენში ზანგმა მოზარდებმა და ბავშვებმა კვლავ მოაწყვეს დემონსტრაცია. 65 ნორჩი მოპიკეტი პირდაპირ ქუჩაში დაწვა უილკოკის საგარაჟოს სახამართლოს შენობის მახლობლად და ტრანსპორტს გასავლელად დაუტოვა მხოლოდ ვიწრო ზოლი. ბავშვებმა ამით პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ მათი მშობლების რეგისტრაციის უბანი იმუოფება... საკურორტოების ძველ შენობაში. ამავე დროს თეთრკანიანები, როგორც ჩვეულებრივ, სახამართლოს შენობაში გადიან რეგისტრაციას.

ამერიკელი ოფიცრები ვიეტნამში

... ოფიციალურად

... ...

ახალი პუბლიკაციები · ყურადღებიანი

ახალგაზრდებო, გამოდით გარეთ!

დარბაზი ერიამულით აივსო. ბავშვებმა თავიანთი ადგილები დიკავეს. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სცენისაკენ იყურება, სადაც ჩვენი ქვეყნის სასეფოვანი, ომის ქარცეცხლში გამოვლილი გმირები სხედან. აი ისინიც: 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ყოფილი მეთაური გენერალ-მაიორი ისიდორე სილაგაძე, დივიზიის ყოფილი კომისარი კონსტანტინე სოხაძე; წიგნის — „საბრძოლო დიდების ფურცლების“ ავტორი პეტრე შამათავა, 414 წითელი დროშის ორდენოსანი ქართული დივიზიის 7375 პოლკის მეთაური ენუქი ქანთარია, საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ემმალოზ კობერიძე, გენერალ-მაიორი ნ. კალაძე, საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი მ. ინასარიძე და სხვები.

დიდია ბავშვების სიხარული. ისინი ხომ უმიშარ მგრძოლებს ხედავენ, ესმით მათი ხმა, ისმენენ მათს მოგონებებს იმ გმირულ დღეებზე, დაამთავრეს საპატიო სტუმრებმა მისალმებები. ასპარეზი ნორჩებმა დაიკავეს. უსმენენ მათ, და გიკვირთ, როგორ, რანაირად მოახერხეს ამ თითისტოლებმა ასე გულდასმით, ასე დაწერილებით შეეყენებინათ ომის მასალები. მათი გამოსვლები შინაარსიანი, ჩამოყალიბებული და დამაჯერებელია. სიტყვებით გამოდიან მოსწავლეები: ბ. ბობოხიძე („საბჭოთა კავშირის გმირის ჯაბიძის საბრძოლო ეპიზოდები“), მ. მირიანაშვილი („ტეკესელის ტრაგედია“), თ. მელითაური („საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ინასარიძე“) და სხვ.

თბილისი, 25-ე საშუალო სკოლის საპატრ დარბაზი. აქ გაიხსნა ამას წინათ ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური შეკრება-კონფერენცია, სადაც თავი მოიყარეს IV საკავშირო ექსპედიციის მონაწილე პატარა ფენოლოგებმა, მხარეთმცოდნეებმა, გეოგრაფებმა. აი სწორედ ამ ბავშვებმა მოიწყეს გულთბილი შეხვედრა სამამულო ომის მონაწილეებს.

ყველაფერი ეს დილის სხდომაზე მოხდა, საღამოს კი ნორჩები ერთმანეთს აცნობდნენ თავიანთ მიღწევებს; კასპელი მოსწავლე თამაზ შეშბერიძე მეგობრებს საექსკურსიო და ტურისტული მარშრუტების პასპორტების შედგენის მეთოდებზე ესაუბრა. ტრიბუნას პატარა, ექვიტი ბიჭუნა იკავებს. ეს ალვანის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ოუნუმ ბახტურიძეა. მისი მოსსენების თემაა „ჩვენი სოფელი წინათ და ახლა“.

როგორ შევისწავლეთ საექსკურსიო ობიექტი „დევის ტბა“ — ამ თემაზე მოსსენებით გამოდის ქორეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ნუგზარ წერეთელი. ძველი თქმულების მიხედვით ამ ტბას ძირი არ ჰქონდა და მიგ

ტელენარკვევი აფხაზეთზე

სოხუმი ჩამოვიდა საქართველოს ტელესტუდიის ბრიგადა, რომელიც ფაშისტურ ბერმახიაზე გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით გადაიღებს. აფხაზეთის მშრომელთა შრომითს საქმიანობას, რეინსტაგის გმირის მელიტონ ქანთარიას და მის ფრონტელ მეგობართა შეხვედრას ოჩამჩირეში, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სამამულო ომის მონაწილეთა მშვიდობიანი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს.

ნ. მიჭაშავიძე.

გემთმშენებელთა ნოგათი

ბათუმელმა გემთმშენებლებმა ახლახან დაამთავრეს და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში გაგზავნეს „არაკიანს“-ტიპის 90-ადგილიანი კატარღა. ეს უკვე მეორე კატარღაა, რომელიც ამ სახელმწიფოსათვის დამზადდა.

ა. ვოგუა.

მოკრავი თვალი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ნორჩ მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს თოჯინების ეროვნული თეატრი, რომელიც ქუთაისში 18 წლის წინათ შეიქმნა.

მიმდინარე წელს თეატრს შეემატნენ ახალგაზრდა აქტიორები, რითაც შესაძლებელი გახდა თოჯინების თეატრის მორავი ჯგუფის შექმნა. ამიერიდან მორავი თეატრი პომსახურებას გაუწევს ონის, ამბროლაურისა და სხვა რაიონების მოსწავლეებს.

გაზაფხულია. ზეიმობს ბუნება. ზეიმობს ამ გოგონების მხურვალე გულიც. ესენი არიან ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ესართია, ლ. ოვალთვაძე, ზ. თოდუა, ლ. ქარჩავა.

ფოტო ბ. შანავასი.

„ორერა“ ესტონეთში

ტალინში წარმატებით დაამთავრა საგასტროლო ტურნე საქართველოს ოპერამ „ორერამ“ — (რ. გარიმიშვილი, ფ. დავითაია, თ. ფაღიწვიძე და ზ. იაშვილი). ამ ვოკალურ კვარტეტს მოვლილი აქვს აფრიკის, ევროპისა და აზიის მატერიკების სახელმწიფოები: ტოგო, მალი, სენეგალი, მარიკო, ალჟირი, ნიგერია, განა; შემდეგ ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანია, ირანი, ავღანეთი, ინდოსი, საფრანგეთი. სავსებით ახალი რეპერტუარით მოხიბლა ესტონელი მაყურებელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვოკალისტთა კვარტეტის მიერ გემოვნებით შესრულებული გ. ცაბაძის „ჩვენი გოგონები“, „მე და შენ“, „ზინდა გაკოცო, მაკოცო“, „სიყვარულის ბალადა“, ო. თევდორაძის „მოსკოვის ჩირაღდნები“, „თბილისის დილა“, შ. მილორავას „შავთვალა“, „ისევ შეშთან“, რ. ლაღიძის „მგზავრული“, „თბილისო“.

„ორერას“ მხარს უმშვენებს მომღერალი ქალი ნანი ბრეგვაძე. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარგებლობს ქართული რომანსები და რუსული „გიტარის ჰანგები“, რომლებსაც ივი ასრულებს.

„ორერას“ წარმატებას ხელს უწყობენ მოცეკვავეები რ. ადუაშვილი, გ. აღაპიშვილი, რ. ჯიოევი, ნ. დოლიძე და საეტრადო კვინტეტი.

პროგრამა ესტონურ ენაზე მიჰყავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობს ქართოლს კასრაძეს, რომლის რეპერტუარშია: „გაცინობა“, „რას ნიშნავს „ორერა“?, „ოლიმპიური ტოკიო“, „ქართული ტრადიციები“ და პანტომიმები: „ნესვი“, „სიყვარული“, „ქალი ძალლით“, „რესტორანი“.

„ორერა“ 20 კონცერტს გამართავს ლენინგრადში.

ე. გრიგულასი.

ტალინი.

მეგობრის ხსოვნას

[illegible] — [illegible] — [illegible] — [